1466/106-04
02.11.2020

თანხმობა

სს "თიბისი ბანკი" (ს/კ 204854595) როგორც უძრავი ქონების იპოთეკარი, (მისამართი: ქ. თბილისი, კედიას ქ. (ყოფილი კახოვსკი) #10 ს.კ 01.13.06.008.090, 1130 კვ.მ) თანახმაა, შპს "ალისფერმა ფრებმა" (ს.კ 402059240), ზემოთაღნიშნულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, მიიღოს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვა და განახორციელოს მშენებლობა.

გრიგორი ჯაბიშვილი
რისკების მართვის დირექტორის მოადგილე

282/107-04
24.12.2019

02 NOV 2020

მინდობილობა

წინამდებარე მინდობილობით წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ენიჭება გრიგორ ჯაბიშვილს (პ/ნ 01024029281) მასზედ, რომ მან სს "თიბისი ბანკი" სახელით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის სარეგისტრაციო სამსახურში წარადგინოს სარეგისტრაციო განცხადება დაკავშირებული სს "თიბისი ბანკის" მონაწილეობით დადებულ გარიგებათა რეგისტრაციასთან, ასევე ხელი მოაწეროს და საჯარო რეესტრში წარადგინოს ბანკის კუთვნილი უძრავი ნივთის გამოჯვნა/გაყოფის, გაერთიანების, მონაცემების დაზუსტების, მონაცემების შესწორების, მონაცემებში ხარვეზის გასწორების, უფლებრივი შეზღუდვის დადება/მოხსნისა და ცვლილების, იპოთეკისა და გირავნობის გაუქმების შესახებ ხელშეკრულებები და შესაბამისი განცხადებები.

გრიგორ ჯაბიშვილი (პ/ნ 01024029281) ასევე უფლებამოსილია, სს "თიბისი ბანკის" სახელით ხელი მოაწეროს ერთობლივ განცხადებებს/ხელშეკრულებებს უძრავ/მოძრავი ქონების ბანკის საკუთრებაში გადაცემის შესახებ, ასევე ბანკის საკუთრებაში არსებული, დასაკუთრებული აქტივების (უძრავ/მოძრავი ქონების) ნასყიდობისა და სხვაგვარად რეალიზების ხელშეკრულებებს/დოკუმენტებს, იპოთეკის, გირავნობის, სერვიტუტის, ქირავნობის, იჯარის, გაცვლის და აღნაგობის ხელშეკრულებებს.

ზემოხსენებული დავალებ(ებ)ის შესასრულებლად და მინიჭებული უფლებამოისლების განსახორციელებლად რწმუნებული უფლებამოისლია, წარმოადგინოს მარწმუნებელი შესაბამისი უფლებ(ებ)ის სარეგისტრაციო სამსახურ(ებ)ში, მათ შორის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და იუსტიციის სახლებში.

რწმუნებული უფლებამოსილია, შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს/ხელშეკრულებას/შეთანხმებას, რომელიც, მართალია, პირდაპირ არ არის მითითებული წინამდებარე მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია ამ მინდობილობით გათვალისწინებული დავალებების შესასრულებლად.

არავინ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ამ რწმუნებულებით გათვალისიწწებული უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ რწმუნებულის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. რწმუნებულს უფლება აქვს განახორციელოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის ჩამოთვლილი ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად

წინამდებარე მინდობილობა ძალაშია 2020 წლის 03 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ნინო მასურაშვილი
გენერალური დირექტორის მოადგილე

მარჯანიშვილის ქ #7
0102 თბილისი, საქართველო
7 Marjanishvili Str.
0102 Tbilisi, Georgia
ტ/T: +995 32 227 27 27
ფ/F: +995 32 277 27 74
www.tbcbank.ge